

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიერ საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (სსმუ) ინფორმაციული და საინჟინრო ტექნოლოგიების სკოლის მიმართ წარმოდგენილი მასალების:

- საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნების სპეციალური ზოგადი კურსის;
- საინჟინრო-საბრძოლო მასალების;
- საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლების;
- სამგანზომილებიანი ციფრული რუკის, კოსმოსური გადაღების მასალებისა და სამუშაოთა ადგილზე გაცნობის შემდეგ შედგა

თანამშრომლობის მემორანდუმი

მხარეები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი – წარმოადგენენ ინსტიტუტის დირექტორი, ტ.მ.კ. ნოდარ წიგნაძე და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური კონსტრუქტორი, პროფესორი ელგუჯა მეძმარიაშვილი
2. საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ინფორმაციული და საინჟინრო ტექნოლოგიების სკოლა – წარმოადგენენ რექტორი, პროფესორი მანანა სანაძე და სკოლის დირექტორი (დეკანი), პროფესორი სერგო ცირამუა

იმის შეგნებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების აშენება და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირება ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების სტრატეგიული პრიორიტეტია, ეს მიზანი კი ვერ მიიღწევა საინჟინრო და ტექნიკური მეცნიერებების განვითარებისა და დასავლური სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და მომზადების სპეციალისტების აღზრდის გარეშე;

დარწმუნებულნი, რომ ასეთი სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია ახალდაფუძნებული უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური, პროგრამული თუ მორალური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე;

გაერთიანებულნი იდებით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება.

მხარეები ხელს აწერენ მემორანდუმს შემდეგი მიზნით:

სსმუ-ს ინფორმაციული და საინჟინრო ტექნოლოგიების სკოლა და სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ითანამშრომლებენ:

1. კვლიეციური საინჟინრო კადრის მომზადების მიმართულებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფორმაციული და საინჟინრო ტექნოლოგიების სკოლაში სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნება საინჟინრო დეპარტამენტი და ამუშავდება საინჟინრო სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და მოკლევადიანი მოსამზადებელი პროგრამები, მათ შორის სამხედრო-საინჟინრო განხრით, რაშიც სკოლა გაუწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას ინსტიტუტს, ხოლო ინსტიტუტი დეპარტამენტს უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებლებით, პროგრამებითა და თანამედროვე ტექნიკური ლიტერატურით;
2. ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და პროექტების წარმოების მიმართულებით, რაც გულისხმობს საუკეთესო სტუდენტების ჩართვას ერთობლივ პროექტებში და სამეცნიერო კვლევებში საინჟინრო, ინფორმაციული და გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში,